

უკანონო მიგრაციის პრევენციის კამპანია

თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნა
ჩიხში შეგიყვანს

აირჩიე მხოლოდ კანონიერი გზა ევროპაში
გასამგზავრებლად



www.informedmigration.ge



თუ აპირებთ თავშესაფრის მოთხოვნას ევროკავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაში, მაგალითად ბელგიაში, ან უბრალოდ ევროპაში გამგზავრებას ფიქრობ, ეს ფლავერი შენთვის არის. აქ წარმოდგენილია მხოლოდ შენთვის აუცილებელი ინფორმაცია და თავმოყრილია სარწმუნო წყაროები. ნუ მიიღებ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, რადგან ხშირად დიდი მოლოდინი მწარე რეალობით იცვლება.

თავშესაფრის მოპოვების პროცედურები ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1951 წლის კონვენციას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“. აღნიშნული კონვენციის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, ვისაც „აქვს საფუძვლიანი შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ შეუძლია, ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.“ თავშესაფრის სისტემით ბოლოტად სარგებლობის შემთხვევათა შემცირებისათვის ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ, უფრო შემჭიდროვებულ ვადებში განიხილონ მიღებული განაცხადები, რათა შეამცირონ სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო პროცედურების დრო. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქეებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია თავშესაფრის სისტემის მიზანსა და მოთხოვნებზე, მიაჩნიათ, რომ ეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ლეგალურად დარჩენის გამართლებული გზაა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, უმუშევრობა ან პროფესიული განვითარების ხელშეწყობა არ შეიძლება იყოს თავშესაფრის მოთხოვნის საფუძვლი



ზემონამოთვლილი მიზეზებით შეტანილი განაცხადი ავტომატურად უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველია.

დარწმუნებული ხარ, რომ საქართველოში დევნის საფუძვლიანი შიში გაქვს, რომ შენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, რომ შეიძლება გახდო ნაშენის ან სიკვდილით დასჯის მსხვერპლი?

გაითვალისწინე, თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის ნამდვილობას ამოწმებს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც აქტიურად ადევნებს თვალყურს პოლიტიკურ და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ მოვლენებს საქართველოში

თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუ ნებაყოფლობით არ დაბრუნდები, ქვეყანას იძულებით დაგატოვებინებენ

მოლოდინი:

აფხაზეთიდან დევნილი ვარ. გავიგე, ევროპაში ჩემი სტატუსის ადამიანებს ადვილად აძლევენ თავშესაფარს. ტურისტული ვიზისთვის ფულს ვისესხებ და გავემგზავრები. იქიდან ცოლ-შვილსაც დავეხმარები."

რეალობა:

"თურმე დევნილის სტატუსი უპირატესობას არ განიჭებს . . . გავასარივრე კიდევც, მაგრამ უშედეგოდ. უკან უნდა დავბრუნდე. წარმოდგენა არ მაქვს ამდენი ვალი როგორ უნდა გადავიხადო."

თავშესაფრის ძიება ევროკავშირის ქვეყნებში, მაგალითად ბელგიაში


ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს თავშესაფრის ერთიანი სისტემა, ისინი იზიარებენ ფუნდამენტურ ღირებულებებს და აქვთ თავშესაფრის მოთხოვნის საკითხისადმი საერთო მიდგომა: თავშესაფარი ეძლევა მას, ვისაც აქვს საკუთარ ქვეყანაში დევნის ან სერიოზული ზიანის მიღების საფუძვლიანი შიში და ამის გამო საჭიროებს საერთაშორისო დაცვას.

ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში, მაგალითად ბელგიაში, თავშესაფრის მოთხოვნაზე შენი განაცხადი შესაძლოა უსაფუძვლოდ ჩაითვალოს, თუ საქართველოდან ბელგიაში წასული პიროვნება ლტოლვილის სტატუსს შემდეგი მიზეზების გამო ითხოვს:

- მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები, უმუშევრობა, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი
- ეთნიკური წარმომავლობა
- აღმსარებლობა ან პოლიტიკური შეხედულებები
- სექსუალური ორიენტაცია ან რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება



რადგან, შენ მიერ თავშესაფრის მიღების მოთხოვნის განმხილველი ექსპერტებისათვის ცნობილია, რომ საქართველოში ამ მიზეზებით დევნა არ ხდება.



წყარო: თავშესაფარი ბელგიაში - საინფორმაციო ბროშურა თავშესაფრის მაძიებელთათვის ბელგიაში თავშესაფრის პროცედურების და მიღების შესახებ
სუბსიდიარული დაცვა აღნიშნავს დროებითი დაცვის სტატუსს, რომელიც ენიჭება პირს, ვინც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ მაინც საჭიროებს საერთაშორისო დაცვას.

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ბელგიაში თავშესაფრის მოთხოვნის საფუძვლად სამშობლოში ეკონომიკურ სიდუხჭირეს, უმუშევრობას და სხვა სოციალურ პრობლემებს ასახელებს. ძირითადად მათი თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადები წარუმატებელია.

თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით შეტანილი განაცხადის შეფასება ხდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელიც აქტიურად ადევნებს თვალყურს პოლიტიკურ და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მოვლენებს საქართველოში ან ნებისმიერ სხვა წარმოშობის ქვეყანაში.

თუ თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადზე უარყოფითი პასუხი მიიღე და ნებაყოფლობით არ დაბრუნდები, ქვეყანას იძულებით დაგატოვებინებენ, რაც მომავალში ევროკავშირის ქვეყნებში არშეშვების მიზეზი შეიძლება გახდეს.

აირჩიე მხოლოდ კანონიერი გზა ევროპისკენ. ნუ გამოიყენებ თავშესაფრის პროცედურებს არაკანონიერი მიზნებისთვის. მომავალში ეს შეიძლება ევროკავშირის ქვეყნებში შენი არშეშვების მიზეზი გახდეს.

ადგილსამყოფელი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პერიოდში

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პერიოდში კოლექტიურ მისაღებ ცენტრში იცხოვრებ. მაგალითისთვის, ბელგიაში თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის განხილვის პერიოდში, შესაბამის ორგანიზაციებს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოთ შენთან დაკავშირება.



როგორც წესი, შენი განთავსება მოხდება მისაღებ ცენტრში, სადაც სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის და ასაკის ადამიანებთან ერთად იცხოვრებ. აქ მხოლოდ შენი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე იზრუნებენ, "საწოლი, შხაპი, პურა". ცენტრში ცხოვრების პერიოდში გარკვეული წესების დაცვა მოგეთხოვება. გაითვალისწინე, რომ შენთან ერთად მისაღებ ცენტრში იცხოვრებენ ადამიანები, რომლებიც ისეთივე სტრესის ქვეშ იმყოფებიან, როგორშიც შენ აღმოჩნდები.

ცენტრში ყოფნის პერიოდში ნებისმიერ დროს შეგიძლია გადაწყვიტო შენს ქვეყანაში ნებაყოფლობით დაბრუნება. ადამიანები, რომლებიც ირჩევენ ნებაყოფლობით დაბრუნებას, განსაზღვრულ დახმარებას იღებენ.

"აფხაზეთის ომის შემდეგ მომიწია ოჯახით გადასახლება. მეგონა დროებით, მაგრამ შევჩრჩი წლები და ათწლეულები. ვოცნებობდი დაბრუნებაზე. ცოტა ფული მოვაგროვე და გადავწყვიტე უკან ჩამოვსულიყავი. დაბრუნებაში დამეხმარნენ, დაფარეს ჩემი ბილეთის ხარჯები და ცოტა ფულიც ხელზე მომცეს. ბევრ ჩემს ახლობელს ძალით დაატოვებინეს ქვეყანა ისე რომ არანაირი დახმარება არ მიუღია."



თამაზი, 57 წლის, რუსთავი

მოლოდინი:

"ნასვლამდე გავყიდე "მარშრუტკა", დაგხურე ბიზნესი და ცოლ-შვილთან ერთად ბელგიაში გავემგზავრეთ. დარწმუნებულები ვიყავით სამი ბავშვით იქ ჩასულებს თავშესაფარზე უარს არაგინ გვეტყოდა..."

რეალობა:

ვერ ვხვდები რისი იმედი მქონდა. ერთი კვირის წინ დაგბრუნდით. ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ."

მიხეილი, 36 წლის, ქუთაისი

მოლოდინი:

"ჩემი კარიერული ზრდისთვის მივდივარ ევროპაში. თავშესაფარს მოვითხოვ. ასე უფრო მოვიკიდებ ფეხს. მუშაობასაც დავიწყებ . . . იქ უფრო მეტი შესაძლებლობებია ..."

რეალობა:

"ვერანაირმა ლეგენდამ ვერ მიშველა . . . ინტერვიუ სტრესული გამოდგა . . . ჩვენი ქვეყნის შესახებ ყველაფერი კარგად იციან. ნებაყოფლობით დაბრუნებაზე უარი ვთქვი, რამაც ყველაფერი უფრო გაართულა. სიმართლე რომ გითხრათ, საქართველოში ჩემს ყოფას არ ვემდური. წარმოდგენა არ მაქვს რისთვის ჩავიგდე თავი ასეთ განსაცდელში ..."

თამარი, 28 წლის, ბათუმი

უკანონო მიგრაცია ევროკავშირში

ევროკავშირში არაკანონიერად ცხოვრება უამრავ სირთულესთანაა დაკავშირებული. თუ სათანადო დოკუმენტები არ გაქვს, გაგიჭირდება სამსახურის პოვნა, ბინის დაქირავება, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა და ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობა. სამართალდამცავი ორგანოების მიერ არაკანონიერი მიგრანტის დაკავების შემთხვევაში, სამშობლოში დაბრუნებამდე ის ხვდება მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრში. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებები თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ ინფორმაციას ათავსებენ ე.წ. შენგენის ზონის ერთიან საინფორმაციო სისტემაში, შესაბამისად, არაკანონიერი მიგრაციის შესახებ სისტემაში დაფიქსირებული ინფორმაცია მომავალში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში რამოდენიმე წლით (ან სამუდამოდ) არშემგების მიზეზი შეიძლება გახდეს.

**მიიღე ინფორმაცია სავიზო პროცედურების შესახებ.
საქართველოს მოქალაქეებისთვის ჯერ კიდევ მოქმედებს
სავიზო რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებთან**

ნუ გამოიყენებ თავშესაფრის პროცედურებს არაკანონიერი მიზნებისთვის

**არაკანონიერი მიგრანტები შეიძლება შრომითი
ექსპლუატაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ**




ევროკავშირში მიმოსვლა

ამჟამად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მათ შორის ბელგიაში, კანონიერად შესასვლელად საქართველოს მოქალაქეებს ესაჭიროებათ ვიზა.

წინასწარ მიიღე ინფორმაცია იმ ქვეყნის სავიზო პროცედურების შესახებ, სადაც აპირებ გამგზავრებას. უფრო დეტალური და ამომწურავი ინფორმაციისთვის მიმართე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდს. ასევე, შეგიძლია დაუკავშირდე იმ ქვეყნის საელჩოს/საკონსულოს, სადაც პირველად გეგმავენ ჩასვლას. ევროკავშირის ქვეყნებში კანონიერად შესვლა შესაძლებელია მხოლოდ ოფიციალური სასაზღვრო პუნქტის გავლის შემდგომ. ამ მიზნით, თან უნდა იქონიო:

- მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი
 - ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელიც ფარავს ევროკავშირში ყოფნის პერიოდს
 - საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი
 - მოკლევადიანი ვიზა (თუ 3 თვეზე მოკლე დროით აპირებ ევროკავშირში დარჩენას)
 - გრძელვადიანი ვიზა (თუ 3 თვეზე მეტ ხანს აპირებ ევროკავშირში დარჩენას)
- ვიზიტის მიზნის დამადასტურებელი დოკუმენტი
- მტკიცებულება, რომ გაქვს საკმარისი ფინანსური სახსრები მოგზაურობისთვის და სამშობლოში დასაბრუნებლად

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შესაძლო ამოქმედების შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე, წინასწარ განსაზღვრული მიზნებით, მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტების განხორციელება შეეძლებათ, რაც გულისხმობს, 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში.



უვიზო რეჟიმი არ გაძლევს ბელგიაში და ევროკავშირის/შენგენის სხვა წევრ სახელმწიფოებში არც გრძელვადიანი ვიზიტების და არც მუშაობის უფლებას.

უვიზო მიმოსვლა არ ნიშნავს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მიღების გამარტივებულ პროცედურას.

მოლოდინი:

"პროფესიით კონდიტერი ვარ. შესაბამისი სამუშაო გამოცდილებაც დავაგროვე. ამჟამად სამუშაო კი მაქვს, მაგრამ მინდა რაიმე ახალი ცვადაო. ინტერნეტით ბელგიაში ვაკანსია ვიპოვე . . . მართალია პროცედურას რამოდენიმე თვე დასჭირდა, მაგრამ უკვე დამსაქმებელმა მუშაობის ნებართვა გამომიგზავნა და სამუშაო ვიზის მისაღებად განაცხადიც შევიტანე. თან ენის კურსებზე დავდივარ ... "

რეალობა:

"ხუთი თვეა რაც აქ ვარ და ვმუშაობ. იმაზე უკეთესი პირობები დამხვდა, ვიდრე მოველოდი. ოჯახი მენატრება, მაგრამ საახალწლოდ შევებულებას ვიღებ, სახლში ჩავალ და ვნახავ ჩემებს."

მანანა, 24 წლის, თბილისი

საქართველო უსაფრთხო წარმოშობის ქვეყანაა

2016 წლის 3 აგვისტოს, ბელგიამ გამოაქვეყნა სია უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების შესახებ. ამ სიაში მოხვდნენ შემდეგი ქვეყნები: ალბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია, კოსოვო, მონტენეგრო, სერბეთი, ინდოეთი და **საქართველო**. ბელგიის სამეფოს გარდა საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანეს ევროკავშირის წევრმა სხვა სახელმწიფოებმაც: საფრანგეთმა, ბულგარეთმა, ავსტრიამ. უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების სიაში საქართველოს შეყვანა ნიშნავს იმას, რომ საქართველო შეფასებულია, როგორც უსაფრთხო ქვეყანა, სადაც ადამიანებს (უპირველესად საქართველოს მოქალაქეებს) არ ემუქრებათ საფუძვლიანი საფრთხე იმისა, რომ წარმოშობის ქვეყანაში (საქართველოში) მოხდება მათი დევნა რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს მოქალაქეთათვის საერთაშორისო მხარდაჭერის გარდაუვალი საჭიროება (გარდა გარკვეული შემთხვევებისა) და საქართველო აღიარებულია უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად, ბელგიაში ან ევროკავშირის ზემოხსენებულ სხვა სახელმწიფოში მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა მიზეზით თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში უარყოფითი პასუხების რაოდენობა გაიზრდება.

სასარგებლო საინფორმაციო წყაროები და ბმულები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საკონსულო ინფორმაცია: <http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/VisaInfoGeorgian.aspx>;

სავიზო ინფორმაცია: <http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx>

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

http://eeas.europa.eu/delegations/georgia/travel_eu/schengen-area/index_ka.htm

საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

- ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი

http://migration.commission.ge/files/small_emmigration_geo.pdf

ბელგიის თავშესაფრის მაძიებლების მიმღები ფედერალური სააგენტო

<http://fedasil.be/en/content/asylum-procedure>

თავშესაფრის განაცხადების განხილვის ერთიანი ევროპული სისტემა

http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-we-do/policies/asylum/index_en.htm

ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გენერალური კომისარი

<http://www.cgra.be/fr>

თუ გაქვს შეკითხვები ან გჭირდება დახმარება, დარეკე **IOM-ის ცხელ ხაზზე**

(+995) 32 2 91 34 61 ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 - 17:00. ზარი უფასო და ანონიმურია.

ასევე შეგიძლია დაგვიკავშირდე **Skype-ით**: **iomsafemigration** ან მიიღო ონლაინ

კონსულტაცია ჩვენს ვებგვერდზე www.informedmigration.ge

თუ ბელგიიდან ნებაყოფლობით დაბრუნებაზე ფიქრობ, დაუკავშირდი **IOM-ს ბელგიაში**:

<http://avrr.belgium.iom.int/en/other-projects/avrr-from-belgium.html>

თუ გაინტერესებს ინფორმაცია სხვა ქვეყნებიდან ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ,

ენჯიე IOM-ის ვებგვერდს: <https://www.iom.int/assisted-voluntary-return-and-reintegration>

ჩვენი კამპანიის საიხლებს გაეცანი ჩვენს Facebook გვერდზე: **Stop Irregular Migration**



უკანონო მიგრაციის პრევენციის კამპანია

თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნა
ჩიხში შეგიყვანს

აირჩიე მხოლოდ კანონიერი გზა ევროპაში
გასამგზავრებლად



www.informedmigration.ge

